ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 357

„1" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ოქროყანას დასახლება, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.01.001.002; №01.18.01.002.160) სპორტულ - გამაჯანსაღებელი კომპლექსის (გოლფის სათამაშო მოედნები, ხელოვნური ტბა, ღია სპორტული მოედნები, საფეხმავლო ბილიკები, გოლფ-კლუბი, სასტუმრო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2016 წლის 13 ოქტომბრის №40 ოქმის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 13 ოქტომბრის №51 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 ოქტომბრის №04/18257 წერილის (AR1448617) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ოქროყანას დასახლება, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.01.001.002; №01.18.01.002.160) სპორტულ - გამაჯანსაღებელი კომპლექსის (გოლფის სათამაშო მოედნები, ხელოვნური ტბა, ღია სპორტული მოედნები, საფეხმავლო ბილიკები, გოლფ-კლუბი, სასტუმრო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1448617 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

უფლებრივი ზონირების რუკა